



საოცარი საფრენი აპარატები

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული/ არამხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	651
კითხვის დონე:	მე-15
ტექსტის მოკლე შინაარსი:	პირველი საფრენი აპარატების გამოგონება. საფრენი აპარატების გაუმჯობესება. თანამედროვე საფრენი აპარატები.

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის („საოცარი საფრენი აპარატები“) გაგება-გააზრება და სტრუქტურული თუ ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.

გაგება / გააზრება:

- მთავარი იდეის გამოკვეთა; მთავარი და მეორეხარისხოვანი დეტალების გამიჯვნა;
- სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასკვნა) გამოყოფა;
- მოვლენათა თანამიმდევრობის ამოცნობა;
- ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის დასახელება,

ლექსიკა და გრამატიკა:

ფონეტიკა	მორფოლოგია	ლექსიკა
ასო-ბგერა გააქტიურება დასწავლა მჟღერ და თანხმოვნებთან კავშირში.	ფ-ს და ჰომოგრანულ ყრუ	1. ტექსტში შედგენილი / რთული არსებითი სახელების მოძიება. 2. ვარჯიში რთული არსებითი სახელების შედგენაზე.
		1. უცხო სიტყვებზე მუშაობა (პროპელერი, დირიჟაბლი, სატელიტი, კრიმინალი, ამანათი, ტრიუკი, პილოტი, ესკიზი, პლანერი. ექსპერიმენტი, ხელსაწყო); 2. ტექსტში გამოყენებული საკუთარი სახელების გაცნობა.

სტრატეგიები და მეთოდები:

ტექსტის გაგება/აღქმის მხარდასაჭერად ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენება.

რესურსები:

1. წიგნი - „საოცარი საფრენი აპარატები“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის)
2. დაფა, ცარცი.
3. ბარათები დისკუსიისათვის.
4. სამუშაო ფურცლები ვიზუალიზაციისთვის, საკუთარ სახელსა და რთულ არსებით სახელებზე (კომპოზიტებზე) სავარჯიშოდ.

უცხო სიტყვები:

**პროპელერი, დირიჟაბლი, სატელიტი, კრიმინალი, ამანათი, ტრიუკი,
პილოტი, ესკიზი, პლანერი. ექსპერიმენტი, ხელსაწყო.**

1. **ტექსტის გაგება / გააზრება** - ტექსტის მთავარი იდეის გამოკვეთა; არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან თვითმფრინავების ან ვერტმფრენების შესახებ, ყოფილან თუ არა როდისმე თვითმფრინავში. ისაუბრეთ აგრეთვე სხვა საფრენ აპარატებზე; ჰკითხეთ, რომელ საფრენ აპარატებს იცნობენ თვითმფრინავის გარდა.
2. აჩვენეთ ბავშვებს თვითმფრინავების, რაკეტების, ვერტმფრენების, დირიჟაბლებისა და საჰაერო ბურთების სურათები. ჰკითხეთ, თუ იციან, რა არის გამოსახული სურათებზე, სთხოვეთ, გამოხატონ საკუთარი ვარაუდები სურათებთან დაკავშირებით.
3. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ წარმოუდგენიათ პირველი საფრენი აპარატი, რას შეიძლება ჰგავდეს ის. სთხოვეთ, გამოხატონ საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ ვის შეიძლებოდა გამოეგონებინა პირველი საფრენი აპარატი, ან როგორ მოუვიდა გამომგონებელს თავში ასეთი იდეა?
4. დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნები სათითაოდ. აჩვენეთ მათ წიგნის წინა და უკანა ყდა და წაუკითხეთ წიგნის სათაური. იმსჯელეთ მოსწავლეებთან წიგნის ყდის შესახებ, რას ხედავენ ყდაზე. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოთქვან ვარუდი, როგორი ტიპის წიგნი შეიძლება იყოს ეს, ან რის შესახებ შეიძლება ეწეროს წიგნში.
5. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ, წიგნი მხატვრულია თუ არამხატვრული. სთხოვეთ, ახსნან თავიანთი მოსაზრებები.
6. აჩვენეთ მოსწავლეებს შიდა პირველი გვერდი, სადაც მითითებულია წიგნის სათაური და ავტორის სახელი.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

საკუთრივ კითხვის ეტაპი (წიგნის წარდგენა):

1. წიგნის კითხვის ვიზუალიზაციის მეთოდის წარდგენა:

ა. აუხსენით თქვენს მოსწავლეებს, რომ კარგი მკითხველები გონებაში ხატავენ სურათებს იმის შესახებ, რასაც კითხულობენ. აუხსენით, რომ ამ მეთოდს ვიზუალიზაცია ჰქვია.

ბ. აჩვენეთ, რას წარმოადგენს ვიზუალიზაციის მეთოდი:

ხმამალა ფიქრი: როდესაც წიგნს ვკითხულობ, რამდენიმე გვერდის შემდეგ ყოველთვის ვჩერდები. ვცდილობ, გონებაში წარმოვიდგინო ის, რაც წიგნში წავიკითხე. ეს მე მეხმარება, გავიგო წიგნის მთავარი იდეა და მნიშვნელოვანი ასპექტები. მაგალითად, წიგნის მე-2 გვერდზე ავტორი წერს, რომ ადამიანები ადრე ექსტერიმენტებს ატარებდნენ, მკლავებზე ფრთების მსგავს მოწყობილობებს იმაგრებდნენ და ცდილობდნენ „ეფრინათ“. მე შემიძლია დავხუჭო თვალები და წარმოვიდგინო, რა სასაცილოები იქნებოდნენ ეს ადამიანები... როგორ ძალიან უნდოდათ ფრენა და მათი „ფრთები“ რა მძიმე და უხეში იქნებოდა და არათუ ფრენა, მათი ტარებაც კი გაუჭირდებოდათ.

გ. აუხსენით ბავშვებს აგრეთვე, რომ ვიზუალიზაციის კიდევ ერთი ხერხი სურათების დახატვაა. აჩვენეთ მათ სამუშაო ფურცელი ვიზუალიზაციისათვის და აუხსენით, როგორ შეუძლიათ სურათის დახატვა. სამუშაო ფურცლებზე შესრულებული ნახატები აჩვენეთ ყველა მოსწავლეს. ჩართეთ ისინი დისკუსიაში, რათა გამოხატონ საკუთარი აზრი კლასელების მიერ შესრულებულ ნახატებთან დაკავშირებით.

2. კითხვის პერიოდში წახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ კითხვის სხვა სტრატეგიებიც, გარდა მიზნობრივი ვიზუალიზაციის სტრატეგიისა.

აქტივობები უშუალოდ კითხვის პროცესში:

გაგების უნარი / ტექსტის მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი დეტალების გამოყოფა:

1. აუხსენით, რომ ყველა ტექსტს აქვს ერთი მთავარი იდეა. ეს იდეა ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტში. უთხრით, რომ ხშირად ტექსტის მთავარი იდეა ტექსტის სათაურშივეა გამოხატული. შეახედეთ წიგნის ყდისთვის - ამჯერად უკვე სხვა თვალთ.
2. აუხსენით, რომ ტექსტში არსებული ქვესათაურები ტექსტის გაგების დამხმარე დეტალებია.
3. გამოიყენეთ ტექსტის შინაარსი ტექსტის დამხმარე დეტალების იდენტიფიცირებისათვის.

***ხმამალა ფიქრი:** როდესაც ვუყურებ ტექსტის შინაარსს, ბევრგან მხვდება სიტყვები: „საფრენი აპარატები“. მე უკვე ვიცი, რომ „საფრენი აპარატი“ არის მანქანა, რომელსაც შეუძლია ფრენა და ის დაფრინავს ცაში. მაშასადამე, სიტყვები „საფრენი აპარატები“ - ტექსტის გაგების დამხმარე დეტალია. როდესაც კითხვას ვაგრძელებ, მე უფრო მეტ დეტალს ვეცნობი საფრენი აპარატების შესახებ. ეს სტრატეგია მებმარება, კარგად გავიგო ის, რასაც ვკითხულობ. მე ვიცი, რომ კარგი მკითხველები სწორედ ასე იქცევიან, ასე რომ, მე ტექსტში ვეძებ დამხმარე დეტალებს კითხვის დროს.*

ლექსიკა

უცხო სიტყვებზე მუშაობა:

1. დაწერეთ დაფაზე ტექსტის უცხო სიტყვები: პროპელერი, დირიჟაბლი, სატელიტი, კრიმინალი, ამანათი, ტრიუკი, პილოტი, ესკიზი, პლანერი. ექსპერიმენტი, ხელსაწყო.

ივარჯიშეთ მოსწავლეებთან ერთად ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაზე: დაუბრუნდით სურათების ჩვენებას. აჩვენეთ მათ კიდეც ერთხელ ის სურათები, სადაც გამოსახული იყო დირიჟაბლი, ამანათი და ა.შ.

2. დაფა ცარცით / ფანქრით გაყავით ორ ნაწილად. ერთ მხარეს გააკეთეთ სათაური „მოტორიანი“, ხოლო მეორე მხარეს - „მოტორის გარეშე“. იმსჯელეთ ამ ორი სათაურის შესახებ, მოიყვანეთ მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან (მაგ. მანქანა, ავტობუსი მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებია, ხოლო ველოსიპედს მოტორი არა აქვს).
3. წახალისეთ მოხალისე მოსწავლეები, მიაკუთვნონ ახლად ნასწავლი საფრენი აპარატები მოტორიზებულ ან არამოტორიზებულ კატეგორებს. იმსჯელეთ ამის შესახებ, წახალისეთ მოსწავლეები გამოთქვან ვარაუდები. დისკუსიის ბოლოს დაწერეთ მოტორიზებულ და არამოტორიზებულ კატეგორიებში ტექსტში მოხსენიებული საფრენი აპარატები.
4. მოიძიონ ბავშვებმა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართული წარმოებისაა (თვითმფრინავი, ვერტმფრენი); რომელი სიტყვის საფუძველზეა შექმნილი ეს ლექსიკური ერთეულები? (ფრენა, ფრინავს...).

განაგრძეთ კითხვა...

5. გააგრძელებინეთ მოსწავლეებს კითხვა, რათა უფრო მეტი გაიგონ საფრენი აპარატების შესახებ. შეახსენეთ, რომ რამდენიმე გვერდის წაკითხვის შემდეგ შეჩერდნენ და გონებაში წარმოიდგინონ ის, რაც წაკითხეს. შემდეგ სთხოვეთ, დახატონ სამუშაო ფურცლებზე ის, რაც წარმოიდგინეს.

.....

კითხვის შემდგომი აქტივობები:

1. დააკვირდით კითხვის პროცესს. დარწმუნდით, რომ მოსწავლემ ბოლომდე წაიკითხა ტექსტი. წახალისეთ თითოეული მოსწავლე, რომ მალე წაიკითხოს ტექსტი და კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი მას.
2. მიეცით ვიზუალიზაციის მაგალითი.

ხმამალა ფიქრი: როდესაც წავიკითხე, როგორ ცდილობდნენ ადრე ადამიანები, ფრენა ესწავლათ, წარმოვიდგინე ხალხი, რომლებსაც დამაგრებელი ჰქონდა ფრთები მკალვებზე და ჩიტებივით დაფარფატებდნენ. წარმოვიდგინე, რა დიდი შრომა იყო რეალურად, რომ ცაში აფრენილიყვნენ და რა იმედგაცრუებულები იქნებოდნენ, როცა ამას ამოდ ცდილობდნენ...

წახალისეთ მოსწავლეები, თვითონაც მოახდინონ ტექსტის ვიზუალიზაცია და ნახატები ერთმანეთს გაუზიარონ. სთხოვეთ მათ, ახსნან მათი ნახატები ხმამალა.

3. მიეცით ტექსტის მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი დეტალების იდენტიფიცირების მაგალითი.

ხმამალა ფიქრი: დავიწყე ქვეთავის „ფრენის ისტორიის“ კითხვა. აქ ეწერა როგორ ეძებდნენ ადამიანების გზას, ეფრინათ ჰაერში. წავიკითხე, რომ ორმა ფრანგმა ძმამ გამოიგონა საჰაერო ბურთი. მინდა, რომ ეს ინფორმაცია მოვინიშნო. მე ის გავხაზე. შემდეგ წავიკითხე, როგორ ააშენეს ძმებმა რაიტებმა პირველი აეროპლანი. მან 260 მეტრის გაფრენა 1 წუთში შეძლო. ეს ინფორმაციაც გავხაზე ტექსტში. რაც წავიკითხე იმის მიხედვით მივხვდი, რომ ამ ქვეთავის მთავარი იდეა იყო: ადამიანებმა ფრენის სხვადასხვა გზა მოსინჯეს. ძმები რაიტები დააკვირდნენ ფრანგი ძმების გამოგონებას და მათ პირველი აეროპლანი ააშენეს.

4. გამოკვეთეთ კიდევ ერთხელ მთავარი იდეა. დაწერეთ მთავარი იდეა დაფაზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ მთავარი იდეის დამხმარე დეტალები ტექსტში (მაგ. 260 მეტრი ერთ წუთში, ფრანგი ძმები, საჰაერო ბურთი და სხვა...).

5. შეამოწმეთ, რამდენად გაიგეს: მაგალითად, მოსწავლეებმა წაკითხვის ინფორმაცია მე-8 გვერდზე. სთხოვეთ, წარმოიდგინონ გონებაში, რაც იქ ეწერა, შემდეგ კი სამუშაო ფურცელზე დახატონ ის. წახალისეთ, წაკითხული ინფორმაციის მთავრი იდეა შეადარონ ნახატის მთავარ იდეას.
6. კიდევ ერთხელ წაკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი. სთხოვეთ, კითხვის დროს გახაზონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დააჯგუფეთ მოსწავლეები ორ-ორად და ურჩიეთ, გაუზიარონ პარტნიორს თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა. დაწერონ სათითაოდ თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა წიგნის ბოლო გვერდზე ან ცალკე სამუშაო ფურცელზე. შეამოწმეთ, როგორ გაიგეს ტექსტის იდეა.
7. თუ შენიშნეთ, რომ მოსწავლემ ტექსტში რომელიმე სიტყვას კითხვის ნიშანი დაუსვა, ეს ნიშნავს, რომ მან ეს სიტყვა ვერ გაიგო, ან მისი სწორად გამოთქმა არ შეუძლია. წახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ ახლად ნასწავლი კითხვის სტრატეგია, წარმოთქვან სიტყვები და გაიაზრონ მათი მნიშვნელობები.
8. ჰკითხეთ მოსწავლეებს, მონიშნეს თუ არა რაიმე სიტყვა ტექსტში. წაკითხეთ სიტყვები კიდევ ერთხელ.

რეფლექსია კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარათ მათ კითხვის დროს ვიზუალიზაციის მეთოდი. სთხოვეთ, გაიხსენონ ტექსტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი.
2. შეადარებინეთ მათ მიერ სამუშაო ფურცლებზე დახატული ნახატები ერთმანეთთან.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. **დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის მნიშვნელოვანი დეტალების გახსენებაში? რა დაეხმარათ მათ ტექსტის გაგებაში?
2. დაწერეთ დაფაზე ვერტმფრენების შესახებ მოკლე ინფორმაცია: უფრო სწრაფები არიან, ვიდრე მანქანები; გამოიყენებენ კრიმინალების მოსაძებნად; დაკარგულების საპოვნელად; მიდის იქ, სადაც ჩვეულებრივი მანქანა ვერ მივა. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარებათ მათ ეს ინფორმაცია ვერტმფრენების შესახებ, რომ გაიგონ ტექსტის მთავარი იდეა? (ეს ფაქტები ყველა ძალიან მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ რატომ არიან საფრენი აპარატები საოცარი...).
3. **დამოუკიდებელი სამუშაო:** წარდგენა, ახსნა. როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას სამუშაო ფურცლებზე, წაიკითხეთ მათი პასუხები კლასში ხმამაღლა.
4. **გაგება/გააზრება:** *ამ წიგნში თქვენ გაეცანით იმ მოწყობილობებს, რომლებიც დაფრინავენ. როდესაც ახლა ამ ინფორმაციას იცნობთ, რას ფიქრობთ მეცნიერული გამოგონებებისა და ექსპერიმენტების შესახებ? რატომაა მნიშვნელოვანი გამოგონებების განვითარება? რას ფიქრობთ, როგორი იქნებიან საფრენი მოწყობილობები მომავალში?*

ლექსიკასა და გრამატიკაზე მუშაობა:

ა. ფონეტიკა: თანხმოვან ფ-ს გააქტიურება.

1. მოსწავლეებთან ერთად გაიხსენეთ ხმოვნები და თანხმოვნები. აუხსენით „ფ“ თანხმოვნის ზოგადი თავისებურებები („სამეულების“ კონტექსტში (ბ-ფ-პ).
2. დაწერეთ დაფაზე სიტყვები: თვითმფრინავი, მფრინავი, ფრენა, ვერტმფრენი, მოფიქრება... სთხოვეთ, შემოხაზონ სიტყვებში თანხმოვანი „ფ“.
3. წარმოთქვით სიტყვები, სადაც გამოყენებულია თანხმოვანი „ფ“, სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან იგივე სიტყვები ხმამაღლა.
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ტექსტს, წაიკითხონ კიდევ ერთხელ, კითხვის დროს იპოვონ თანხმოვანი „ფ“ და ყოველი მათგანი გახაზონ.
5. დააჯგუფეთ მოსწავლეები ორ-ორად და სთხოვეთ, ტექსტიდან ამოიწერონ სიტყვები, სადაც გამოყენებულია თანხმოვანი „ფ“. ხმამაღლა წაიკითხეთ თითოეული ჯგუფის მიერ ამოწერილი სიტყვები.
6. ჩამოვწეროთ დაფაზე სიტყვები, რომლებიც ბ-ფ-პ თანხმოვნებით იწყება. ყურადღება გავამახვილოთ მათ სწორად წარმოთქმაზე; მივცეთ დავალება: დააჯგუფონ სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ბ,ფ,პ თანხმოვნებს:

ბ	ფ	პ
მაგ. ბაბუა, ბავშვი...	ფაფა, თეფში...	პაპა, პური...

მორფოლოგია:

შედგენილი სიტყვები

1. დაწერეთ სიტყვა „თვითმფრინავი“ დაფაზე. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელი ორი სიტყვისგან შედგება ის („თვით“ ანუ „თვითონ“ და „ფრენა“). აუხსენით მოსწავლეებს, რომ „თვითმფრინავი“ არის შედგენილი, რთული სიტყვა. განსაზღვრეთ შედგენილი სიტყვა, როგორც ორი ან მეტი სიტყვის შეერთებისაგან მიღებული სიტყვა, რომელსაც აქვს ერთი მნიშვნელობა. აუხსენით მოსწავლეებს, რომ „თვითმფრინავი“ არის მანქანა, რომელიც „თვითონ“ „დაფრინავს“.
2. დაწერეთ შემდეგი წინადადება დაფაზე: „ვერტმფრენი საფრენი მანქანების განსაკუთრებული სახეობაა“. შესთავაზეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ ამ წინადადებიდან რომელია შედგენილი სიტყვა (ვერტმფრენი - ვერტიკალურად -ფრენა). მოიწვიეთ მოხალისე მოსწავლეები, რომლებიც დაშლიან შედგენილ სიტყვას და ახსნიან მათ მნიშვნელობას.
3. შემოწმეთ როგორ გაიგეს: სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტში იპოვონ შედგენილი სიტყვები და ამოწერონ ისინი სამუშაო ფურცლებზე. გამართეთ დისკუსია მათ მიერ ამოწერილ სიტყვებთან დაკავშირებით, რა სიტყვებისაგან შედგება კონკრეტული შედგენილი სიტყვები, რა მნიშვნელობა აქვთ მათ ცალ-ცალკე და რა მნიშვნელობას ღებულობენ შეერთების შემდეგ.

ლექსიკა:

საკუთარი სახელები

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ არსებითი სახელი შეიძლება იყოს ადამიანი ან საგანი. დაუსახელოთ წიგნიდან ერთ-ერთი გვერდი, მაგ, გვერდი 7 და სთხოვეთ იპოვონ ამ გვერდზე არსებითი სახელები.

2. აუხსენით მოსწავლეებს, რომ საკუთარი სახელები შეიძლება იყოს ადამიანის, ადგილის, მდინარეების ან საგნის სახელები.
3. სთხოვეთ ტექსტში ოპოზონ საკუთარი სახელები და ამოწერონ სამუშაო ფურცლებზე.
4. შეამოწმეთ, როგორ გაიგეს: დაფაზე დაწერეთ შემდეგი სახელები: გოგონა, თვე, ბიჭი, ქუჩა. ჰკითხეთ მოსწავლეებს, ხომ ვერ დაასახელებდნენ თითოეული სიტყვისათვის შესაფერის საკუთარ სახელებს. დაწერეთ დაფაზე თითოეული არსებითი სახელის გვერდით შესაფერისი საკუთარი სახელი.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს სახლში მშობლებთან, და-ძმასთან, მეგობართან ან მომვლელთან ერთად წაიკითხონ ტექსტი. ურჩიეთ, აუხსნან კითხვის დროს პარტნიორს ვიზუალიზაციის ტექნიკა და შეადარონ პარტნიორის სურათს მათ მიერ გონებაში წარმოდგენილი სურათები.

საკითხავი ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა:

1. შესთავაზეთ მოსწავლეებს ინტერნეტწყარო ან მოიტანეთ ამობეჭდილი ინფორმაცია ძმები რაიტების შესახებ. დაავალეთ მოსწავლეებს, დაწერონ პატარა მოხსენება მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ. აუხსენით მოხსენების დაწერის წესები. სთხოვეთ, მოხსენება დაეწერათ სამ ნაწილად: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა. წახალისეთ მოსწავლეები, მოხსენებაში გამოიყენონ ილუსტრაციები და ფოტოები. საბოლოოდ მოითხოვეთ შეცდომების გარეშე დაწერილი მოხსენების ასლი, გაუკეთეთ მას ყდა. გააკეთეთ თითოეული მოსწავლის მოხსენება ცალკე წიგნად ან შეკარით მთელი კლასის მოხსენებები ერთად და გაუკეთეთ ყდა.

სოციალური სწავლება:

1. უზრუნველყავით მოსწავლეები ინტერნეტით ან დაბეჭდილი ინფორმაციით ადამიანის ფრენის ისტორიის შესახებ. სთხოვეთ, დააღაგონ დროითი თანამიმდევრობით ფრენის ან ფრენასთან დაკავშირებული გამოგონებების შემთხვევები. წახალისეთ ისინი, მოიძიონ ნებისმიერი ინფორმაცია ფრენის განვითარებასთან დაკავშირებით. დაავალეთ, წლების მიხედვით დააღაგონ მოვლენები დიდი ზომის ქაღალდზე / ჩარტზე.
2. დავალების შესრულების შემდეგ, ჩარტი გააკარით კლასის კედელზე.

უნარების შემოწმება (მიმდინარე შეფასება)

სადისკუსიო ბარათები სწავლების დამატებითი აქტივობაა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ვარიანტი, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სადისკუსიო ბარათები მოსწავლეებთან.

1. ბარათები გამოიყენეთ ლიტერატურული წრის შესაკრავად.
2. ბარათები შეიძლება გამოიყენოთ წიგნის კითხვის დაწყებამდეც. მოსწავლე ირჩევს ერთ-ერთ ბარათს, სადაც წერია კითხვა, ან საკითხი, რომელიც მან ჯერ არ იცის. წიგნის წაკითხვა მიმართული იქნება სადისკუსიო ბარათზე მოცემული კითხვის საპასუხოდ.
3. ბარათები გამოიყენეთ თამაშისთვის.

მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...

1. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე ვიზუალიზაციის სტრატეგიის ადეკვატურად გამოყენება;
2. დისკუსიებში და სამუშაო ფურცლებზე ტექსტის მთვარი იდეისა და დამხმარე დეტალები იდენტიფიცირება ტექსტის უკეთ გაგებისათვის;
3. ზეპირად სიტყვების დამარცვლა წიგნიდან;
4. საკუთარი სახელების იდენტიფიცირება;
5. შედგენილი სახელების სწორად ამოცნობა და ფორმულირება.